ოქმი:**ო12. 3726071001**

თარიღი:**12/03/2026**

ოქმი N 4

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდულ საქმეთა, ჯანმრთელობისა და სოციალურ საკითხთა კომისიის სხდომის

2026 წელი, 9 მარტი
ქ.ოზურგეთი
14:00 -17:00 საათი

თავმჯდომარეობდა: ტატა ბარამიძე- მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარე

ესწრებოდნენ: კომისიის წევრები: დ. ხურციძე, ნ. გოლიაძე, ქ. ვასაძე, ვლ. ხავთასი, ნ. ჭანიშვილი, გ. კალანდაძე, ე. წუწუნავა, ი. დობორჯგინიძე, გ. კალანდაძე, მ. ცქვიტინიძე.

სხდომის თავმჯდომარემ, ტ. ბარამიძემ კომისიის წევრებს გააცნო დღის წესრიგი, რომელიც დაამტკიცეს ერთხმად.

დღის წესრიგი

1. ,,ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური სერვისების სამსახურეის 2025 წელს გაწეული საქმიანობის ანგარიშის მოსმენის, შეფასების და ცნობად მიღების შესახებ.
მომხსენებელი: ტატა ბარამიძე
თანამომხსენებელი: სოფო რამიშვილი

2,,ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა დაახალგაზრდობის სამსახურის 2025 წელს გაწეული საქმიანობის ანგარიშის მოსმენის, შეფასების და ცნობად მიღების შესახებ.

მომხსენებელი: ტატა ბარამიძე

თანამომოხსენებელი: ლელა ვასაძე

3. „არასამეწარმეო(არაკომერციული) იურიდიული პირი ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სამხატვრო სკოლის" მიერ 2025 წელს გაწეული საქმიანობის ანგარიშის მოსმენის შესახებ.

მომხსენებელი: ტატა ბარამიძე

თანამომხსენებელი: კახაბერ ვასაძე

4. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ა(ა).ი.პ "ოზურგეთის მუნიციპალიტეტის დაბა ურეკის კულტურის სახლის" "მიერ 2025 წელს გაწეული საქმიანობის ანგარიშის მოსმენის შესახებ.

მომხსენებელი: ტატა ბარამიძე

თანამომხსენებელი: ქეთევან ლორთქიფანიძე

სხდომის თავმჯდომარემ ტ. ბარამიძემ კომისიის წევრებს მოკლედ გააცნო დღის წესრიგის პირველი საკითხი, აღნიშნა, რომ უდიდესი მნიშვნელობა აქვს საკრებულოს საკონტროლო-საზედამხედველო ფუნქციის განხორციელებისათვის მუნიციპალიტეტის მერიის სამსახურებისა და მუნიციპალიტეტის მიერ შექმნილი ა(ა).ი.პ-სა და შ.პ.ს-ების მიერ წლის განმავლობაში გაწეული საქმიანობის ანგარიშების მოსმენას, შემდეგ მოკლედ ისაუბრა ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური სერვისების სამსახურეის 2025 წელს გაწეული საქმიანობის ანგარიშზე, ვრცლად კომისიის წევრებს ანგარიში გააცნო თანამომხსენებელმა ს. რამიშვილმა და და მანვე უპასუხა დასმულ შეკითხვებს. სხდომის თავმჯდომარემ ტ. ბარამიძემ განაცხადა, რომ წარმოდგენილი ანგარიში აკმაყოფილებს კანონმდებლობით განსაზღვრულ მოთხოვნებს და შესაძლებელია მისი წარდგენა საკრებულოს სხდომაზე განსახილველად.

კომისიის წევრებმა იმსჯელეს და მიზანშეწონილად მიიჩნიეს წარმოდგენილი ანგარიშის საკრებულოს სხდომაზე წარდგენა განხილვის, შეფასებისა და ცნობად მიღების მიზნით.

სხდომის თავმჯდომარემ ტ. ბარამიძემ კომისიის წევრებს მოკლედ გააცნო დღის წესრიგის მეორე საკითხი, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა დაახალგაზრდობის სამსახურის 2025 წელს გაწეული საქმიანობის ანგარიში კომისიის წევრებს ვრცლად გააცნო თანამომხსენებელმა ლ. ვასაძემ და უპასუხა დასმულ შეკითხვებს.

სხდომის თავმჯდომარემ ტ. ბარამიძემ განაცხადა, რომ წარმოდგენილი ანგარიში აკმაყოფილებს არსებული კანონმდებლობით განსაზღვრულ მოთხოვნებს და შესაძლებელია მისი წარდგენა საკრებულოს სხდომაზე განსახილველად.

კომისიის წევრებმა იმსჯელეს და მიზანშეწონილად მიიჩნიეს წარმოდგენილი ანგარიშის საკრებულოს სხდომაზე წარდგენა განხილვის, შეფასებისა და ცნობად მიღების მიზნით.

სხდომის თავმჯდომარემ ტ. ბარამიძემ კომისიის წევრებს მოკლედ გააცნო დღის წესრიგის მესამე საკითხი, „არასამეწარმეო(არაკომერციული) იურიდიული პირი ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სამხატვრო სკოლის” მიერ 2025 წელს გაწეული საქმიანობის ანგარიში კომისიის წევრებს გააცნო თანამომხსენებელმა კ. ვასაძემ და უპასუხა დასმულ შეკითხვებს.

სხდომის თავმჯდომარემ ტ. ბარამიძემ განაცხადა, რომ წარმოდგენილი ანგარიში აკმაყოფილებს არსებული კანონმდებლობით განსაზღვრულ მოთხოვნებს და შესაძლებელია მისი წარდგენა საკრებულოს სხდომაზე განსახილველად.

კომისიის წევრებმა იმსჯელეს, მოიწონეს და მიზანშეწონილად მიიჩნიეს წარმოდგენილი ანგარიშის საკრებულოს სხდომაზე წარდგენა განხილვის, შეფასებისა და ცნობად მიღების მიზნით.

სხდომის თავმჯდომარემ ტ. ბარამიძემ კომისიის წევრებს მოკლედ გააცნო დღის წესრიგის მეოთხე საკითხი, ვრცლად კომისიის წევრებს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ა(ა).ი.პ “ოზურგეთის მუნიციპალიტეტის დაბა ურეკის კულტურის სახლის” ”მიერ 2025 წელს გაწეული საქმიანობის ანგარიშზე ესაუბრა თანამომხსენებელი ქ. ლორთქიფანიძე და უპასუხა სდასმულ შეკითხვებს.

სხდომის თავმჯდომარემ ტ. ბარამიძემ განაცხადა, რომ წარმოდგენილი ანგარიში სრულად აკმაყოფილებს არსებული კანონმდებლობით განსაზღვრულ მოთხოვნებს და შესაძლებელია მისი წარდგენა საკრებულოს სხდომაზე განსახილველად.

კომისიის წევრებმა იმსჯელეს და მიზანშეწონილად მიიჩნიეს წარმოდგენილი ანგარიშის საკრებულოს სხდომაზე წარდგენა განხილვის, შეფასებისა და ცნობად მიღების მიზნით.

გადაწყვიტეს:

საკრებულოში შემოსული ოთხივე ანგარიში წარდგენილ იქნას მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე განხილვის, შეფასებისა და ცნობად მიღების მიზნით.

ტატა ბარამიძე

განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდულ საქმეთა, ჯანმრთელობისა და სოციალურ საკითხთა კომისია-კომისიის თავჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი